# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/37 „10" აპრილი 2009 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

**„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-14 მუხლის შესაბამისად, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ახალციხის რაიონული სასამართლო

1. შეიქმნას ახალციხის რაიონული სასამართლო.

2. ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

3. ახალციხის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 7 მოსამართლით.

4. ახალციხის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 3 მოსამართლით, რომელთაგან:

ა) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტში;

ბ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ასპინძის მუნიციპალიტეტში;

გ) 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში.".

3. მე-6 და მე-11 მუხლები ამოღებულ იქნეს.

4. 58-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დმანისის, თეთრიწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, წალკისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიებით.".

5. გადაწყვეტილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 62[1] მუხლი:

**„მუხლი 62[1]. ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებები**

1. 2009 წლის 21 აპრილიდან ლიკვიდირებულ იქნეს ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოები. აღნიშნული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით 2009 წლის 21 აპრილამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფილ იქნეს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაცია და მათი ახალციხის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ) განხორციელდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების ლიკვიდაციასა და ახალციხის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;

დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

2. ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოების წარმოებაში არსებული მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების განხილვა 2009 წლის 21 აპრილიდან წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები, ასევე ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეები 2009 წლის 21 აპრილიდან გადაეცეს ახალციხის რაიონულ სასამართლოს და მათი განხილვა გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**მუხლი 2.**

1. ეს გადაწყვეტილება, პირველი მუხლის მე-5 პუნქტის გარდა, ამოქმედდეს 2009 წლის 21 აპრილიდან.

2. ამ გადაწყვეტილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ამოქმედდეს 2009 წლის 11 მარტიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი